ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად დაკისრებული ვალდებულებები

❖ გარემოსდაცვითი მმართველი

- ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, ვალდებულია განსაზღვროს **გარემოსდაცვითი მმართველი** და ინფორმაცია მისი ვინაობის შესახებ (სახელი და გვარი) დაუყოვნებლივ (2016 წლის 1 თებერვლამდე) აცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს[1].
- კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველის განსაზღვრის ან/და მისი ვინაობის სამინისტროსთვის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით[2].
- აღნიშნული ვალდებულება და მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებული სანქციები ძალაში შედის **2016 წლის 1 თებერვლიდან[3].**

❖ ნარჩენების ნუსხის განსაზღვრა და კლასიფიკაცია

- ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია მოახდინოს **ნარჩენების კლასიფიკაცია** 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად[4].
- ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია შეუმუშაოს და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ნარჩენების **პირველადი ინვენტარიზაციის დოკუმენტი** ამავე დადგენილების III დანართის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით, სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით[5].
- ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაციის დოკუმენტი წარადგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში 2016 წლის **1 თებერვლიდან 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით[6].**

---

[1] ნარჩენების მართვის კოდექსის მე-15 მუხლი
[2] ნარჩენების მართვის კოდექსის 42-ე მუხლი
[3] ნარჩენების მართვის კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილი
[4] „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მე-4 მუხლი
[5] „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მე-7 მუხლი
[6] „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მე-9 მუხლი

❖ ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება

- **ნარჩენების აღრიცხვისა და სამინისტროს წინაშე ანგარიშგების ვალდებულება** ეკისრებათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასთან ან/და დამუშავებასთან; ან/და რომელთა საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი (გარდა მუნიციპალური ნარჩენებისა) ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება[7].
- ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით[8].
- ზემოაღნიშნული ვალდებულება და მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებული სანქციები ძალაში შედის **2016 წლის 1 აგვისტოდან[9].**

❖ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა

- ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება[10], ვალდებულია დადგენილი წესის[11] შესაბამისად შეიმუშაოს **კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა** და წარუდგინოს შესათანხმებლად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. მოთხოვნის შემთხვევაში გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული მუნიციპალიტეტისთვის და სხვა პირისთვის.
- კომპანიის ნარჩენების მართვის პირველი გეგმა უნდა **შემუშავდეს 2016 წლის 31 დეკემბრამდე[12].**
- მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში კომპანიის მიერ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მიუწოდებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით[13].

---

[7] ნარჩენების მართვის კოდექსის 29-ე მუხლის და „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N422 დადგენილების მე-3 მუხლი

[8] ნარჩენების მართვის კოდექსის 44-ე მუხლი

[9] ნარჩენების მართვის კოდექსის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილი

[10] ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლი

[11] „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანება

[12] ნარჩენების მართვის კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილი

[13] ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლი

❖ **სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემა**

- ნარჩენების წარმომქმნელი, რომელიც წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტ სახიფათო ნარჩენს წარმოქმნის, ვალდებულია შექმნას და დანერგოს **სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემა**[14]; კოდექსის შესაბამისად განსაზღვროს გარემოსდაცვითი მმართველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის შესაბამისი ზომების მიღებისთვის; უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პერსონალის ინფორმირება და შესაბამისი სწავლების ჩატარება.
- სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პერსონალის ინფორმირებისა და შესაბამისი სწავლების ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით; ხოლო სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემის შექმნისა და დანერგვის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით[15].
- ზემოაღნიშნული სანქციები და სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემის შექმნის და დანერგვის სისტემის ვალდებულება ძალაში შედის **2017 წლის 1 თებერვლიდან**[16].

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურს: ტელ: 2 727227

[14] ნარჩენების მართვის კოდექსის მე-18 მუხლი
[15] ნარჩენების მართვის კოდექსის 45-ე მუხლი
[16] ნარჩენების მართვის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი